საქართველოს მთავრობის

დადგენილება №2

2018 წლის 5 იანვარი

ქ. თბილისი

„ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, 040030000.10.003.018345) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. №1 და №2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული დებულებების აღსრულების მიზნით, წლის განმავლობაში მობილიზებული კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**